



## „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ს ერთობლივი პროექტით გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში ახალი საწარმოები დაფინანსდება

### პრესრელიზი

**თბილისი. 19 სექტემბერი;** „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ს ერთობლივი პროექტით საოკუპაციო გამყოფი ზოლის (აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი) მიმდებარე სოფლებში ახალი საწარმოები დაფინანსდება. პროექტს „საპარტნიორო ფონდის“ შვილობილი კომპანია „სტარტაპ საქართველო“ განახორციელებს.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) პროექტის ფარგლებში სახელწოდებით, „ახალი საწარმოები გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში“, გრანტის სახით 500 000 აშშ დოლარს გამოჰყოფს, რომლითაც „სტარტაპ საქართველოს“ გამარჯვებულები დაფინანსდებიან. დამწყებ მეწარმეებს შანსი ეძლევათ საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ინოვაციურ სიახლეებზე ორიენტირებული ბიზნესები წამოიწყონ.

„საპარტნიორო ფონდი“ და „USAID Zrda“ თანამშრომლობის ფარგლებში, ხელს შეუწყობენ საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ინვესტირებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

„საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ს ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია სიმბოლურად, ენგურის ხიდიდან 600 მეტრში მდებარე რუხის სავაჭრო ცენტრში შედგა. მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ და USAID Zrda-ს პროექტის ხელმძღვანელმა ბრაიან კინგმა მოაწერეს.

ლონისძიებაში მონაწილეობა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის, ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების, USAID-ის, „საპარტნიორო ფონდის“, „სტარტაპ საქართველოს“, ადგილობრივი ბიზნეს წრეების, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს. ღონისძიებას სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. დამსწრე საზოგადოებას პროექტის „ახალი საწარმოები გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში“ შესახებ ინფორმაცია „სტარტაპ საქართველოს“ დირექტორმა გიორგი ლომიძემ და „USAID Zrda“-ს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სპეციალისტმა საბა სარიშვილმა გააცნეს და დასმულ შეკითხვებს უპასუხეს.

„რუხის სავაჭრო ცენტრში“ გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, პროექტ „სტარტაპ საქართველოს“ მიერ გამოვლენილ გამარჯვებულებს, რომლებიც საკუთარ ბიზნეს საქმიანობას საოკუპაციო გამყოფი ზოლის მიმდებარედ აწარმოებენ, „USAID Zrda“ „საპარტნიორო ფონდისგან“ მიღებულ დაფინანსებას გრანტით გაუორმაგებს.

„განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საოკუპაციო გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მეწარმეობის განვითარება, რაშიც დიდი წვლილი სახელმწიფომ უნდა შეიტანოს. რეგიონების განვითარება „საპარტნიორო ფონდის“ სტრატეგიული მიმართულებაა და ამ მხრივ, სწორედ პრიორიტეტულია გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლების ეკონომიკური გაძლიერება, ადგილობრივების დასაქმება და ახალგაზრდების გააქტიურება. სტარტაპ იდეების განხორციელებისთვის „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ს ერთობლივი პროექტი დაფინანსების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. მოხარული ვარ, რომ USAID-მა საქართველოში ამ მნიშვნელოვანი პროექტის განსახორციელებლად სწორედ ფონდის შვილობილი კომპანია „სტარტაპ საქართველო“ აირჩია“, განაცხადა დავით საგანელიძემ.

სტარტაპერებისთვის „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ს ერთობლივ პროექტში მონაწილეობისთვის განაცხადების მიღება „სტარტაპ საქართველოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე [www.startup.gov.ge](http://www.startup.gov.ge) უკვე შესაძლებელია.

**„სტარტაპ საქართველოს შესახებ“:**

*„სტარტაპ საქართველო“ სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ დაფუძნდა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს დამწყები ბიზნესის (სტარტაპების) განვითარებას საქართველოში. პროგრამა „საპარტნიორო ფონდისა“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ ერთობლივად მომზადდა. „სტარტაპ საქართველოს“ ამ დროისთვის 101 გამარჯვებული ჰყავს, მათ შორის, 91 ინოვაციურ, 20 კი მაღალტექნოლოგიურში კომპონენტში.*

**„USAID Zrda“-ს შესახებ:**

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „USAID Zrda“ არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში. პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge> ; [www.zrda.ge](http://www.zrda.ge)